ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2733188

ნომერი: AR1425202

თარიღი : 21.07.2016

გაცემის თარიღი : 22.07.2016

გაცნობის თარიღი : 20.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , 26 მაისის სახელობის მოედანი, N 1 , (ნაკვეთი 33/109) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ია შალიკაშვილი პ/ნ 35001004325
- თბილისი, კვერნაძის 35

ორგანიზაცია:

- შპს სპორტის სასახლე კოდი: 2011360944

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

გასათამაშებელი ავტომობილებისთვის ტერიტორიაზე პირველი კლასის 7 ცალი მსუბუქი კონსტრუქციის დროებით განთავსების შესაძლებლობის თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალი, 26 მაისის სახელობის მოედანი #1 (ნაკვეთი #33/109), შპს "სპორტის სასახლე"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე გასათამაშებელი ავტომობილებისთვის 7 ცალი მსუბუქი კონსტრუქციის დროებით განთავსებას.
პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.
”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882015143535 17/03/2015წ. საკადასტრო კოდი #01.10.13.033.109, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალი, 26 მაისის სახელობის მოედანი #1 (ნაკვეთი #33/109), შპს "სპორტის სასახლე"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე გასათამაშებელი ავტომობილებისთვის 7 ცალი მსუბუქი კონსტრუქციის დროებით განთავსების შესაძლებლობას 2016 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით.
აქვე გაცნობებთ, რომ სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული კონსტრუქციული დასკვნა შენობის (სადაც უნდა განთავსდეს აღნიშნული კონსტრუქციები) ტექნიკური მდგომარეობისა და მასზე ჩასატარებელი სამუშაოების მიზანშეწონილობის და უსაფრთხოების თაობაზე.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.